

შპს მოლეკულური დიაგნოსტიკის ცენტრი

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2024
წლის 31 დეკემბერს

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	3
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება -----	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----	5
ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი -----	6
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები -----	7

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	711 493	619 381	386 000
არამატერიალური აქტივები	3	8 306	9 492	10 679
		719 799	628 873	396 679
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	4	31 893	15 698	233 729
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	207 919	257 554	225 735
მარაგები	6	179 965	103 404	147 650
		419 777	376 656	607 114
მთლიანი აქტივები		1 139 576	1 005 529	1 003 792
მთლიანი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		118 610	248 159	337 085
		118 610	248 159	337 085
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	7	418 997	160 793	16 595
საგადასახადო ვალდებულებები		14 545	9 152	18 534
გადასახდელი დივიდენდი	8	587 425	587 425	631 579
		1 020 967	757 370	666 707
მთლიანი ვალდებულებები		1 020 967	757 370	666 707
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		1 139 576	1 005 529	1 003 792

დირექტორი:




შპს მოლეკულური დიაგნოსტიკის ცენტრი

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის დასრულებული წლისათვის
(ლარი)

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
ამონაგები	9	1 031 362	842 047
თვითღირებულება		(226 723)	(304 056)
საერთო მოგება		804 639	537 992
სხვა შემოსავლები	10	58	108
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	11	(934 167)	(622 694)
სხვა ხარჯები	12	(81)	(243)
საოპერაციო მოგება		(129 551)	(84 838)
ფინანსური შემოსავალი	13	2	3 502
ფინანსური ხარჯი - წმინდა		2	3 502
მოგება დაბეგვრამდე		(129 550)	(81 336)
მოგების გადასახადი		-	(7 589)
პერიოდის მოგება		(129 550)	(88 925)
სხვა სრული შემოსავალი:		-	-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		(129 550)	(88 925)

დირექტორი

ს. ჯაფარიძე



ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს მოლეკულური დიაგნოსტიკის ცენტრი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბერი	337 085	337 085
მოგება წლის ბოლოს	(88 925)	(88 925)
გაცემული დივიდენდი	-	-
კაპიტალში სხვა შემოსავალი	-	-
კაპიტალში სხვა გასავალი	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	248 159	248 159
მოგება წლის ბოლოს	(129 550)	(129 550)
გაცემული დივიდენდი	-	-
კაპიტალში სხვა შემოსავალი	-	-
კაპიტალში სხვა გასავალი	-	-
2024 წლის 31 დეკემბერი	118 610	118 610

დირექტორი




შპს მოლეკულური დიაგნოსტიკის ცენტრი

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი

(ლარიში)

	2024	2023
ფულადი სახსრების საწყისი ნაშთი	15 698	233 729
საოპერაციო საქმიანობა	16 193	(179 528)
მიღებული ფულადი სახსრები	1 080 027	820 461
მყიდველისგან მიღებული ფულადი სახსრები	1 061 417	817 316
მომწოდებლისგან დაბრუნებული თანხები	18 610	2 442
სხვა შემოსავალი	-	703
გადახდები	1 063 834	999 989
სამივლინებო თანხები		
მყიდველზე დაბრუნებული თანხები	1 149	1 622
მომწოდებელზე გადახდილი თანხები	646 595	630 273
გადახდილი ხელფასები	287 699	-
ბანკის საკომისიო	1 578	242 609
ბიუჯეტი გადახდილი თანხები	109 476	102 138
საპენსიოში გადახდილი თანხები	17 117	23 130
სხვა ხარჯი	219	217
საინვესტიციო საქმიანობა	-	(42 004)
მიღებული ფულადი სახსრები	-	-
კაპიტალში შეტანილი თანხები	-	-
გადახდები	-	42 004
კაპიტალიდან გატანილი თანხები		-
გადახდილი დივიდენდი	-	42 004
საფინანსო საქმიანობა	2	3 502
მიღებული ფულადი სახსრები	2	3 502
% ის მიღება	2	3 502
ფულადი ნაკადების წმინდა ზრდა	16 195	(218 030)
ფულადი სახსრების საბოლოო ნაშთი	31 893	15 698

დირექტორი:

შპს მოლეკულური დიაგნოსტიკის ცენტრი ს 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს მოლეკულური დიაგნოსტიკის ცენტრი (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2015 წლის 23 აპრილს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 405097595. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისის, 'ვაკე-საბურთალოს რაიონში, პეკინის გამზ., N 31'ვ', ბ. 15 . კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ზოგადი სამედიცინო მომსახურება.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელებია:

- ეკატერინე კაციტაძე, 01024015396 - 33.33%,
- ნათია ბუხრაშვილი, 01024037541 - 33.34%,
- შპს ფორტის ჯგუფი, 405317820 - 33.33%.

კომპანიის დირექტორი - ეკატერინე კაციტაძე, 01024015396.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კომპანია ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ:

- კომპანიის ბუღალტერია 2017 წლიდან აღრიცხვას აწარმოებს მსს ფასს-ის შესაბამისად.
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება, რაც ასევე გამოყენებულ იქნება მსს ფასს-ის შემდგომი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების პაკეტის მომზადებისას შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენით.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2023 წლის 31 დეკემბერს და 2024 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2,6894	2,9753
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2,8068	2,9306

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინების განმარტებები:

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას.

ფინანსური აქტივი ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი სახეობაა.

კომპანია ფინანსური აქტივების სახით ფლობს, მსს ფასს 11 განყოფილების „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტების“ თანახმად, შემდეგ ძირითად ფინანსურ ინსტრუმენტებს:

ა) რეზიდენტი ბანკების საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს;

და

ბ) 3 თვემდე მოთხოვნამდე და 12 თვემდე ფიქსირებულვადიანი დეპოზიტების საბანკო ანგარიშებს რეზიდენტ ბანკებში.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფების მიხედვით.

კომპანია იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

თავდაპირველად ფინანსური აქტივები ფასდება თვითღირებულებით. ფინანსური აქტივების თვითღირებულება არის ოპერაციის/გარიგების ფასი გარიგების დანახარჯების ჩათვლით.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც, აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს გასდის ვადა.

დებიტორული დავალიანების გაუფასურება

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ცალსახად არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება არსებული ფინანსური აქტივების გაუფასურებისა. იმ შემთხვევაში, თუ მომავალ პერიოდში არსებითად გაიზრდება დებიტორული დავალიანების თანხა და ადგილი ექნება გაუფასურების გამომწვევ მიზეზებს, როგორიცაა: ხელშეკრულების პირობების დარღვევა, მომავალი ფულადი ნაკადების სიდიდის შემცირება, ემიტენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სიმძნელები, თუ ცხადი

გახდება, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი, - საწარმო დაუყოვნებლივ შექმნის საექვო და უიმედო მოთხოვნების რეზერვებს (ანარიცხებს), და აღიარებს გაუფასურების ზარალს შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები, აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით.

ვალდებულებების პირვანდელი ღირებულება არის მიღებული არაფულადი აქტივების რეალური ღირებულება ვალდებულების წარმოქმნის მომენტისათვის, რომლის სანაცვლო ფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, მიღებული ფულადი სახსრების ოდენობა, რომლის სანაცვლო არაფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, მოგების გადასახადისათვის), იმ ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, რომლის საწარმოდან გასვლა მოსალოდნელია ვალდებულების დასაფარავად საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მაშინ, როცა ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. საკურსო სხვაობა ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს

თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
შენობა ნაგებობები	20-50
მანქანა-დანადგარები	5-12
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	7-15
სატრანსპორტო საშუალებები	3-7
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	30-50
ელექტრო მოწყობილობები	5-15

აქტივის გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში

სავაჭრო ვალდებულება

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაბეგვრა

კომპანიის გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ამონაგების აღიარება

კომპანიის მიერ მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, მომსახურების დასრულების შემდგომ, როდესაც მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში და ამონაგების ოდენობის შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელია. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება—ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი. ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწუმენება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.
- მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

შენიშვნა 3

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

	მანქანა- დანადგარები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
31 დეკემბერი 2022	352 916	19 194	13 890	-	10 679	396 679
შემოსვლა	18 851	4 997	-	270 371	-	294 219
გასვლა	-	-	-	-	-	-
ცვეთა და გაუფასურება	50 326	6 279	3 472	760	1 187	62 024
31 დეკემბერი 2023	321 442	17 911	10 417	269 611	9 492	628 873
შემოსვლა	90 089	34 784	-	458 832	-	583 705
გასვლა	16 306	-	-	357 469	-	373 775
ცვეთა და გაუფასურება	50 050	8 256	3 472	56 039	1 187	119 003
31 დეკემბერი 2024	345 175	44 439	6 945	314 935	8 306	719 799

ცვეთის მეთოდი: წრფივი

შენიშვნა 4

ფული და ფულთან გათანაბრებული
ინსტრუმენტები

	2024	2023	2022
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	1 567	1 076	166
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	30 326	14 622	233 562
სულ	31 893	15 698	233 729

შენიშვნა 5

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	2024	2023	2022
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	206 401	244 673	218 726
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	1 518	12 881	7 009
სულ	207 919	257 554	225 735

შენიშვნა 6

მარაგები

	2024	2023	2022
ნედლეული და მასალები	179 348	102 760	147 110
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	617	644	540
სულ	179 965	103 404	147 650

შენიშვნა 7

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2024	2023	2022
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	416 614	158 688	10 693
ვალდებულება საწარმოს პერსონალის მიმართ	-	-	111
სოციალური გადასახადი	2 384	2 105	5 791
სულ	418 997	160 793	16 595

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნა 8

გადასახდელი დივიდენდი

2022 წელს პარტნიორთა კრებამ მიიღო გადაწყვეტილება 1085304.96 ლარის დივიდენდის გაცემის თაობაზე დარჩენილი გასაცემ დივიდენდმა შეადგინა 631578.95 ლარი, რომელიც გაცემულ იქნა 2023 და 2024 წელს.

შენიშვნა 9

ამონაგები

კომპანიის ამონაგები შედგება ძირითადი საქმიანობის ფარგლებში შესრულებული სამუშაოებით მიღებული შემოსავლისგან.

შენიშვნა 10

სხვა შემოსავლები

	2024	2023
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	58	108
სულ	58	108

შენიშვნა 11

ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი

	2024	2023
ცვეთა და ამორტიზაცია	119 003	62 024
რეკლამის ხარჯები	19 744	15 879
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	10 883	4 642
მიწოდების სხვა ხარჯები	332	-
შრომის ანაზღაურება	372 827	311
სოციალური დანარიცხები	8 698	651
საიჯარო ქირა	45 026	11 711
კომუნიკაციის ხარჯები	6 847	18 795
რემონტი	5 847	5 821
კომპიუტერის ხარჯები	4 700	7 553
საკონსულტაციო ხარჯები	570	290
საკონსულტაციო ხარჯები	10 658	7 363
საბანკო მომსახურება	1 778	1 332
სხვა საერთო ხარჯი	333 101	175
		632

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სულ	934 167	622 694
-----	---------	---------

შენიშვნა 12

სხვა ხარჯები

	2024	2023
არასაოპერაციო ზარალი	81	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	-	243
სულ	81	243

შენიშვნა 13

ფინანსური შემოსავალი

	2024	2023
საპროცენტო შემოსავლები	2	3 502
სულ	2	3 502

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორის მიერ 2025 წლის 27 მარტს.

დირექტორი:


